საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 04/07/13548
22/05/2015

13548-04/07-2-201505221745

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)“ დირექტორის მოადგილეს
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

სამინისტროში 2015 წლის 11 მაისს შემოსული თქვენი #182 წერილის პასუხად, გაცნობებთ შემდეგს:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, რეგისტრირებულ დევნილთა რაოდენობაა 264 630 (87 023 ოჯახი);
- დღეის მდგომარეობით საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულია 29 479 დევნილი ოჯახი;
- 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა 3 120 ოჯახი;
- 2012 წლის ჩათვლით საცხოვრებელი ფართი დაუკანონდა 15 379 ოჯახს, ხოლო 2013 წლიდან დღემდე - 3 770 ოჯახს;
- „სახლი სოფლად“ პროექტის ფარგლებში, დევნილთა საკითხების კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილება მიღებულია 509 ოჯახზე. უკვე შესყიდულია და გადაცემულია სახლები 292 დევნილ ოჯახზე. დანარჩენ სახლებზე მიმდინარეობს შესყიდვის პროცედურა;
- იხ. დანართები 1 და 2 (საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 მარტის №240 განკარგულება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო

გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 მარტის №240 განკარგულებით განხორციელებული ცვლილებების შემდეგ თბილისში 387 ოჯახზე გაიცა 403 ბინა;
- იხ. დანართი 3;
- იხ. დანართი 4. აქვე დავამატებთ, რომ სამინისტრომ მიმართა მუნიციპალური განვითარების ფონდს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის მოსაწოდებლად.

გოგუცა გურული

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი